

საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტს ვირუალური პროფიციტი ვერ უშველის!

ფინანსთა მინისტრს, პარლამენტში ბიუჯეტის წარდგენისას,
პროექტი ბოლომდე წაკითხული არ ჰქონდა!

გაზეთი “The Georgian Times”, 7-14 თებერვალი, № 006, 2008

საპრეზიდენტო არჩევნების თემამ სრულიად გადაფარა საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტის არაადეკვატურობა, რომელიც ერთბაშად მოიცავს პროფიციტსაც და დეფიციტსაც. მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის საბიუჯეტო შემოსულობები 5,705 მილიარდი ლარით განისაზღვრა.

პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა გადათვალეს, გადმოთვალეს და „ვირუალურად პროფიციტული“ ბიუჯეტიც წარუდგინეს პარლამენტს. გაჩნდა კითხვის ნიშნები, რომლებითაც „ჯორჯიან თაიმსმა“ საქართველოს პარლამენტის წევრს ლადო პაპავას მიმართა.

„ჯორჯიან თაიმსი“: საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტი არის როგორც პროფიციტული, ისე დეფიციტურიც. როგორ მოხდა ბიუჯეტის ასეთი დათვლა?

ვლადიმერ პაპავა: 2008 წლის ბიუჯეტის პროექტი მართლაც ისეთი სახით იქნა წარმოდგენილი, რომ ის პროფიციტული გახდა. თანხა სიმბოლურია და 275 ათას ლარს შეადგენს. საქმის ვითარებაში მეტი სიმართლე უნდა შევიტანოთ: 2008 წლის ბიუჯეტის შედგენისას შეცვალეს მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მთელი რიგი ხარჯები ბიუჯეტში განსხვავებულად იქნა ასახული.

საქმე ეხება არაფინანსური აქტივების ცვლილებას. ასეთია, მაგალითად, ინვენტარის შექმნა, კაპიტალური რემონტი, მშენებლობები. სადაც მთავრობამ ფული ჩადო და ააშენა, ის ხარჯებში კი არაა ნაჩვენები, არამედ შემოსავლებში.

თუ შევხედავთ წმინა ეკონომიკური არსით, თუ გზა იქნა გაყვანილი, მართალია ეს აქტივის ზრდაა, მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით ეს ხარჯია, რომელიც სახელმწიფომ გაიღო და არა შემოსავალი.

მაშასადამე, ბიუჯეტის კონფიგურაცია შეიცვალა. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტი გამოუვიდათ პროფიციტული. თუმცა, სინამდვილეში ბიუჯეტის დეფიციტი 189 273 000 ლარს შეადგენს.

მხოლოდ გადათვლის მეთოდოლოგიის შეცვლამ გამოიწვია პროფიციტი. იმ 275 ათას ლარს ხელს ვერ მოკიდებ, რადგან ბუნებაში არ არსებობს.

მართალია მთავრობა გავაკრიტიკეთ, მაგრამ ბიუჯეტის ასეთი შედგენის მსოფლიო გამოცდილებაც არსებობს და ვერ ვიტყვით, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ რაღაც ახალი გამოიგონა. მაგრამ იმის დაპიარება, რომ ბიუჯეტი პროფიციტულია, ნამდვილად არაეთიკურია.

წარმოდგინეთ, პარლამენტში წევრების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ერკვევა საბიუჯეტო სისტემაში. არც საზოგადოების და ჟურნალისტების დიდი ნაწილი ერკვევა აღნიშნულ საკითხში და, ბუნებრივია, ამიტომაც წარმატებით დაპიარდა „პროფიციტული ბიუჯეტი“.

კიდევ კარგი, რომ პარლამენტში არსებობს საბიუჯეტო ოფისი და იქ მოხდა ბიუჯეტის პარამეტრების ნორმალურ ენაზე “გადმოთარგმნა”. ამან კი ბიუჯეტის დეფიციტურობა გამოაჩინა.

– 2008 წლის ბიუჯეტში გათვლილია ინფლაცია 8%; საგალუტო კურსი – 1 აშშ დოლარი 1,59 ლარი. ეს მაშინ, როდესაც რეალურად ინფლაცია გაცილებით მაღალია, ხოლო დოლარის კურსი განუწყვეტლად ეცემა...

– ინფლაცია, მართლაც 8% აქვთ ჩადებული. რაც შეეხება გაცვლით კურსს, აქ ეშმაკობაა. როდესაც პარლამენტში შემოდის ბიუჯეტის პროექტი, განმარტებით ბარათში ადრე აუცილებლად მითითებული იყო ხოლმე გაცვლითი კურსი.

როდესაც 2007 წლის ბოლოს შემოვიდა ბიუჯეტის პროექტი, იქ გაცვლითი კურსი არ წერია! ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გაცვლითი კურსი დაფიქსირებული არ ყოფილა.

– აბა ეს მონაცემები, რომელიც გაჟღერდა, საიდან არის?

– ვერ გეტყვით საიდან არის. როდესაც ჩვენ ამ საკითხზე შეკითხვები დავსვით საკომიტეტო განხილვაზე, მთლად მკაფიო პასუხები ვერ გაგვცეს. იგივე საბიუჯეტო ოფისი დაგვეხმარა და საგარეო ვაჭრობიდან შემოსული თანხების (რომლებიც გაცვლით კურსთანაა დაკავშირებული) უკუღმა გადათვლით გამოიყვანა გაცვლითი კურსი და აღმოჩნდა, რომ ეს გაცვლითი კურსია 1 დოლარი – 1,52 თეთრი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დოლარი კიდევ უფრო გაუფასურდება და ლარი კი გამყარდება! სწორედ ამის ხმამაღლა თქმა არ უნდოდა მთავრობას.

– ამ პროცესებზე ხომ არ იმოქმედა ზოგიერთი საბაჟო გადასახადების განულებამ, რომელიც ახალი კანონის თანახმად, წელს იანვრიდან უნდა შესულიყო ძალაში?

– ახალი საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იბეგრება 12%-ით, სამშენებლო მასალები – 5%-ით, ხოლო დანარჩენი ყველაფერი განულებულია. საბაჟოდან შემოსავლები ისევ იქნება. სწორედ აქედან მოხდა გადათვლა და დოლარის გაცვლითი კურსის დადგენა.

რაც შეეხება ინფლაციას, აქ გაცილებით რთულადაა საქმე. მოგეხსენებათ, ბიუჯეტის შედგენისას, გათვალისწინებული იყო საპრეზიდენტო არჩევნები, როცა არა ერთმა სოციალურმა დაპირებამ გაიჟღერა.

ახლა საპარლამენტო არჩევნები იქნება და იქაც დაპირებებს ველოდებით. ამის გამო ბიუჯეტის ხარჯების სოციალური კომპონენტები დიდია. ეს კი, ინფლაციის გაზრდის რეალურ საფრთხეს ქმნის.

როდესაც პრემიერმინისტრს დავუსვით შეკითხვა მოსალოდნელი ინფლაციის შესახებ, მან გვიპასუხა, რომ ინფლაციის დარეგულირება უნდა მოხდეს მონეტარული პოლიტიკის საშუალებით.

ეს გულისხმობს იმას, რომ ეს საკითხი ეროვნული ბანკის პრეროგატივაა და მან უნდა განახორციელოს ძვირი ფულის პოლიტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოუშვებს ძვირადღირებულ ფასიან ქაღალდებს, რომლებსაც შეიძენენ კომერციული ბანკები და მათ დარჩებათ მცირე საკრედიტო რესურსი, რაც ამ რესურსის გაძვირებას გამოიწვევს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, დართული იყო პარამეტრები, ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები. იქ ამოვიკითხეთ, რომ თუ 2007 წელს სესხებზე საპროცენტო განაკვეთი იყო 21,1%, 2008 წლისთვის ვარუდობენ 18,9%-ს, ანუ კლება.

მაშინვე ფინანსთა მინისტრს დავუსვი შეკითხვა: თუ თქვენ გინდათ კრედიტის გაძვირება, ბიუჯეტში გათვალისწინებული რატომ გაქვთ საპროცენტო განაკვეთის კლება, რაც გარდაუვალ ინფლაციას გამოიწვევს?

ფინანსთა მინისტრმა გაიკვირვა თუ საიდან მოვიტანე ეს ციფრები, რითაც პრაქტიკულად აღიარა, რომ ბიუჯეტის პროექტი ბოლომდე წაკითხული არ ჰქონდა!

შეუსაბამობაა, თუნდაც იმ საკითხში, რომ ფინანსთა მინისტრი ვარაუდობს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას მაშინ, როდესაც პრემიერი ამბობს, რომ ინფლაციის მოსათოკად განაკვეთების გაზრდაა საჭირო.

ასე, რომ 8%-იანი ინფლაციის შენარჩუნება ძალიან გაჭირდება.

ირმა ვარსიმაშვილი